

გასვიანი აკაკი - სამყაროული მოძრაობა

ავტორისაგან

კოსმოლოგებს (ასტროლოგებს), ფიზიკოსებს, გეოგრაფებს, ბიოლოგებს (გენეტიკოსებს), გეოლოგებს, ენათმეცნიერებს, ანთროპოლოგებს... და ღვთისმეტყველებს.

წიგნი `სამყაროული მოძრაობა` ექვსი თავისაგან შედგება. ჩამოთვლილი მეცნიერული დარგების პრობლემები სრულიად ახლებურად არის ახსნილი. ნიმუშად გაწვდით პირველ თავს.

წიგნი გამოვა 2006 წელს. მისი შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონით: 38-58-31. E-მაილ: agasviani@gmail.com

ავტორთან საკონტაქტო ენა - სასურველია რუსული ან ქართული.

* * *

მომიტევონ მეცნიერ-სპეციალისტებმა მათთვის მრავალგზის ცნობილ ჭეშმარიტებათა ხელახლა და მარტივად ახსნისათვის.

ეს განაპირობა საზოგადოების იმ მოთხოვნამ, რომ სამყაროს მოვლენებზე საუბარი ყველასათვის გასაგები და ახსნადი იყოს.

ასეთი მოსაზრება გამოითქვა წიგნის პირველი გამოცემის ენობრივი სტილის შესახებ, რადგან იგი თეზისისებური უფროა, შედეგად – არასპეციალისტისათვის ძნელად გასაცნობიერებელი.

ძვირფასო მკითხველო, ვეცადე წიგნის მეორე გამოცემაში ამ მართებული სურვილის გათვალისწინებას.

და კიდევ: მოვერიდე მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებების ოპონირებას, ეს არას არგებდა წიგნის მთავარ მიზანს – სულისმიერი ძრაობიდან გამომდინარე აგვეხსნა სამყაროული მოვლენები.

თავი I

სამყაროული აღვლენა


მარადიულ მოძრაობაშია სამყარო: სრბოლავს ხილულიც და უხილავიც.

უსასრულოა სამყარო.

და ღმერთი ყოველივეშია განფენილი.

მთვარე გარემოქცევა დედამიწას, ორივე ერთად – მზეს, სამივე, მზის სისტემის ყველა პლანეტითურთ, – ჩვენი გალაქტიკის ცენტრს.

იხ. სქემა #1



სქემა #1

ჩვენს გალაქტიკას `ირმის ნახტომსაც` უწოდებენ. 120-200 მილიარდ ვარსკვლავს ითვლიან მასში, თითოეული მის ცენტრს უვლის გარშემო. ზოგი მათგანი მოცულობით მზეს ბევრად აღემატება.

თანამედროვე ტელესკოპებით მილიონობით ამოდენა და უფრო მეტი მოცულობის გალაქტიკაა დამზერილი.

და ახალი გალაქტიკების აღმოჩენებს სასრული არ აქვს.

დედამიწის დიამეტრი, ასტრონომთა გამოთვლით, საშუალოდ, 12733,108 კმ-ია, მისი სფეროს გარეშემოწერილობა – 12733,108 \times 3,14=39981,95912 კმ. იგი მთვარეს 81-ჯერ აღემატება, მაგრამ მზე მასზე მოცულობით 33000-ჯერ მეტია, მისი დიამეტრი დედამიწისაზე 109-ჯერ დიდია.

დედამიწიდან მთვარემდე მანძილი, საშუალოდ, 386000 კმ-ია, მზემდე – 150 მლნ კმ.

ვარსკვლავებს და გალაქტიკებს შორის დაცილების სივრცე მილიონობით და ათეული მილიონობით სინათლის წელია.

რამდენია მანძილი: 1 სინათლის წელიწ

სინათლის სხივის პირდაპირი სვლის სიჩქარე წამში, დამრგვალებით, 300 ათასი კმ-ია. წელიწადის ხანგრძლივობა, დედამიწის მაქსიმალურ ორბიტულ სიჩქარეზე გაანგარიშებით, 31575600 წამია.

მაშინ: 31575600 \times 300000=9472680000000 კმ. – ეს არის ასტრონომიული მანძილი: 1 სინათლის წელი.

და რა იქნება მილიონი და ათი მილიონი სინათლის წლის ფარდი მანძილი კოლომეტრებშიწ

თავად წარმოისახეთ...

მათი რიცხობრივი გამოსახვისათვის უფრო მოსახერხებელია მსხვილი ასტრონომიული ერთეულების გამოყენება:

1 ა.ე. – ასტრონომიული ერთეული = 150 მლნ. კმ. – მანძილი დედამიწიდან მზემდე;

1 პარსეკი=3,26 სინათლის წელი=206265 ა.ე.;

1 კილოპარსეკი=1000 პარსეკი;

მეგაპარსეკი=1 მლნ პარსეკი.

უკიდევანოა სამყარო.

მაგრამ მასში შემავალი ყოველივე მკაცრი წესრიგით მოძრაობს, და მარადიულად.

და არავითარი ქაოსი!

სამყაროს რომელიმე ნაწილის დაბერებას, შეკუმშვა-ნეკროზისს და შემდეგ აფეთქებითა თუ ევოლუციით – თანდათანობითი გარდაქმნით მის განახლებას – ახალ შესაქმნეს – პრეცესინგს ღვთაებრივი წესრიგი განაგებს.

და უწყვეტია ეს პროცესი.

მოძრაობაშია ეს პროცესი.

და როგორია სამყაროული მოძრაობის ფორმებიც

მეცნიერება დღემდე თვლის, რომ მაკროსი – დიდი, თუნდაც მეტამაკროსი – სხეულთა უზარმაზარი გაერთიანებების, და მიკროსი – მცირე, თუნდაც უხილავ მდგენელთა, მოძრაობა სრულდება წრეწირზე ან ელიფსზე – გაწელილ წრეწირზე.

ეს რომ ასე იყოს, მივიღებდით ჩაკეტილ მრუდს, რომელზე სხეულის სვლაც შექმნიდა დროისა და სივრცის მუდმივად, უცვალეზად განზომილებებს. ამგვარი მოძრაობით ვერც ერთი სხეული პერიოდულად ვერ შეიცვლიდა ფაზებს და განლაგების ადგილს. ხოლო ჩვენ, მათი ერთგვაროვანი მდგომარეობით, ვერ შევიმეცნებდით კოსმოსურ დროს, ვერ აღვიქვამდით კოსმოსურ რიტმს, არ იქნებოდა წელიწადის დროები, დღედამეთა უტოლობა და ა.შ.

და არავითარი უსასრულობა – სამყარო გახდებოდა... შემოზღუდული...

და იქნებოდა, საერთოდ, სამყაროც! – რადგან სხეულთა, არსთა მყოფადობის გამაწონასწორებელია და შემკვრელია მაგნიტური პოლუსები, ჩაკეტილ მრუდში მათი ძალა დაეცემოდა, ნებისმიერი მათგანი აღმოჩნდებოდა კოლაფსში, დაკარგავდა გრავიტაციულობას, მოწყდებოდა ასევე მიზიდულობა დაკარგულ სხვა კოსმოსურ სფეროებს და დაიშლებოდა.

ეს კი მართლა იქნებოდა ქაოსი.

მაგრამ სამყაროში ყოველივე დგას მყარად, ყოველივე არის უკვდავი, მხოლოდ მუდმივ ფერიცვალეზაშია – გარდაცვალება-აღდგომაშია.

და მშვენიერებაც მისი ამაშია!

‘რა ლამაზი ხარ, სიკვდილო,

სიცოცხლე შვენობს შენითა!~ – უთქვამს გენიოს ქართველს.

უკიდევანობაში მიგვანანავებს ჩვენი ციური ხომალდი – დედამიწა.

და ამ ნანაობისას მოავლენს იგი შობას – გაზაფხულს, ამაღლებას – ზაფხულს, მწიფობას – შემოდგომას და ენერჯის შენახვა-აკუმულაციის აუცილებელ დროს – ზამთარს.

როგორ იქმნება დედამიწის დროთა რიგითობის ამგვარი სისავსეც

დადგენილია: დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ დღეღამეში შემობრუნდება 1-ჯერ, წელიწადში – 365, 23224-ჯერ.

და მისი შემობრუნება სრულდება აღმოსავლეთის მიმართულებით.

ჩვენ ჭეშმარიტ მოვლენას – დედამიწის ბრუნვას თავისი ღერძის ირგვლივ – ვერ ვხედავთ, რადგან მასზე მდგარი ყოველი, ცხადია, ჩვენც, თანაბარზომიერი სიჩქარით მიემართება მასთან ერთად კოსმოსურ სივრცეში.

დედამიწა რადგან აღმოსავლეთის მიმართულებით ბრუნავს, ამიტომ მისი სფერო, ღერძის ირგვლივ მოძრაობის შედეგად, თვითონ ეგებება მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, და ამის გამო გვეჩვენება, რომ ისინი თავად, დასავლეთისაკენ სვლით, მასვე უვლიან გარშემო.

მზე, მთვარე, ვარსკვლავები დიდ სივრცეებში ვლენან აღმოსავლეთით, ხოლო დედამიწის ღერძის ირგვლივი ბრუნვა, მისივე პარამეტრების შედარებით სიმცირის გამო, მათ სვლას დროში უსწრებს და აღნიშნული მოჩვენებითობა ამით არის განპირობებული.

მაშასადამე, მზის მოძრაობა დედამიწის გარშემო დასავლეთის მიმართულებით მოჩვენებითია, მაგრამ ეს მოვლენა არის ჭეშმარიტების კოსმიური ანარეკლი, ამიტომ ამით შეგვიძლია, განვსაზღვროთ დედამიწის ღერძის ირგვლივი მოძრაობის კანონზომიერებანი.

დედამიწას, როგორც ნებისმიერ ციურ სფერულ სხეულს, ორი გეოპოლუსი აქვს – ჩრდილოეთი და სამხრეთი. მათ აერთიანებს ერთი ფიზიკური ღერძი.

სფერული სხეულის გარემომოწერილობა არის წრეწირი და უდრის 360°-ს.

პოლუსების შემაერთებელ წრეწირის ნახევარს ეწოდება მერიდიანი ანუ გრძედი. სფეროს 24 მერიდიანი აქვს, ე.ი. 12 მერიდიანული წრეწირი – ვერტიკალური წრეწირი.

სფეროს ორ ტოლ ნაწილად – ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად გამყოფ სარტყელს ეწოდება ეკვატორი, მის პარალელებს – განედები. ისინი ქმნიან სფეროს ჰორიზონტალურ წრეწირებს.

ე.ი. სფეროს აქვს ვერტიკალური წრეწირებიც და ჰორიზონტალური წრეწირებიც. მათი გადაკვეთებით იქმნება მისი ბადური სისტემა.

მიღებულია, რომ ეკვატორი აღინიშნოს 0° -ით, ხოლო პოლუსები – 90° -ით.


დავიმახსოვროთ: პოლუსზე გავლით ეკვატორის დიამეტრალურად ორი საპირისპირო წერტილის გამაერთიანებელი ორი მერიდიანული ნახევარი არის სფერული წრეწირის ვერტიკალი.

მაშ, ასე: მზე შეუჩერებლივ მოძრაობს დედამიწის გარშემო.

(იხ. სქემა #2.)

22 დეკემბერს – ზამთრის მზებუდობისას ანუ მზედგომისას იგი დედამიწის ეკვატორიდან – 0° -დან მის სამხრეთით $23,5^{\circ}$ პარალელზე – განედზეა, და სამხრეთი პოლუსის 90° -კენ მეტად არ დაიხრება. ამის შემდეგ მზე უკუიქცევა ეკვატორისაკენ. ბუნებრივია, უკუიქცევის მომენტში იგი კრავს კოსმოსურ მარყუქს.

მზე რადგან ამ დროს დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროსაკენ მაქსიმალურად არის დახრილი, მისი სხივები მანდაურობას შვეულ მდგომარეობასთან მიახლოებულად ეცემიან, შედეგად მანდ ცხელა და ზაფხულია. ამ პერიოდში, ამავე მოვლენის გამო, მზის სხივები ჩრდილოეთის ნახევარსფეროს აღმაცერად ანათებს, ამიტომ აქ ცივა და ზამთარია.



სქემა #2

მზის დახრილობა მთელი წლის განმავლობაში თანაბარზომიერად იცვლება: ეკლიპტიკის – მზის სავალი გზის – სხვადასხვა წერტილი ყოველ წამს დედამიწის ეკვატორისადმი დაშორების კუთხის სიდიდეს იცვლის.

და, აი, სამხრეთ ნახევარსფეროს $23,5^\circ$ -დან – განედიდან უკუქცევის შემდეგ 21 მარტისათვის მზის დახრილობა 0° -მდე დავა და ეკლიპტიკა და ეკვატორი ერთმანეთის თანხვედნილია – პარალელურია, დგება დედამიწის ბუნობა – გაზაფხულის ბუნობა. მზის სხივები დედამიწის ეკვატორულ ნაწილს შვეულად ეცემა – მზე ზენიტზეა.

განაგრძობს რა დედამიწის კანონიკურ შემოვლას, 22 ივნისს იგი ეკვატორიდან ჩრდილოეთ ნახევარსფეროს $23,5^\circ$ -მდე – განედამდე აღწევს, აქ დგება მაქსიმალური დახრილობის კუთხით და ჩრდილოეთი პოლუსის 90° -ისაკენ მეტად არ დაიხრება. ეს მომენტი არის ზაფხულის მზებუდობა – მზედგომა.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ამ დროს ცხელა და ზაფხულია, სამხრეთისაში – ზამთარი.

ამრიგად, ნახევარ წელიწადში – 22 დეკემბრიდან 22 ივნისამდე მზემ სამხრეთ ნახევარსფეროს $23,5^\circ$ -დან ჩრდილოეთ ნახევარსფეროს $23,5^\circ$ -მდე გაიარა: $23,5^\circ + 23,5^\circ = 47^\circ$.

ზაფხულის მზედგომის შემდეგ, კრავს რა ისევ კოსმიურ მარყუქს, მზე განაგრძობს განედური წრეებით გადანაცვლებას სამხრეთისაკენ და 23

სექტემბერს მზის დახრილობა კვლავ დადის 0° -მდე, კვლავ პარალელურ თანხვედნილობაში ექცევა ეკლიპტიკა და ეკვატორი და დგება შემოდგომის დღელამტოლობა _ ბუნობა.

ხოლო 22 დეკემბერს იგი სამხრეთ ნახევარსფეროს $23,5^{\circ}$ -ის განედზეა.

ე.ი. მზემ 22 ივნისიდან 22 დეკემბრამდე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს $23,5^{\circ}$ -ის განედიდან სამხრეთ ნახევარსფეროს $23,5^{\circ}$ -ის განედამდე გაიარა:

$$23,5^{\circ}+23,5^{\circ}=47^{\circ}.$$

$$\text{მაშასადამე, წლის განმავლობაში: } 47^{\circ}+47^{\circ}=94^{\circ}.$$

ამრიგად, დედამიწის სფეროს ვერტიკალის 94° -ზე _ მერიდიანის ჩრდილოეთი და სამხრეთი მიმართულებებით _ მზე 1 წელიწადში შემოავლებს 365, 23224 წრეს.

და მთელი წლის განმავლობაში მის ეკვატორულ სარტყელზე ზაფხულია.

მაგრამ წრიდან წრეზე მზის გადასვლა ხდება არა წყვეტილად, არამედ უწყვეტად, ხვიისებრად _ სპირალურად, ე.ი. წრეწირის შეუკვრელად, ანუ გახსნილი მრუდით.

მექანიკის კანონით, სპირალზე სვლისას სხეული გამოტოვებს წრეწირის გარკვეულ ნაწილს, ოღონდ დამატებით დროში მან იგი უნდა გაიაროს მრუდიდან მრუდზე გადასვლით მომატებულ მანძილთან ერთად.

სხეულის უწყვეტი წრიული მოძრაობისას სპირალებს შორის მანძილი მუდმივადი განზომილებაა _ ისინი სპირალური მუდმივებია, და სამყაროს მოძრაობის მარეგულირებელნია.

რადგან სპირალებს შორის სივრცე უწყვეტად შემოიხაზება, მისი გაზომვა სფერული კუთხით, ჰორიზონტალური ან ეკვატორული კოორდინატებით, პარალაქსებით და სხვა მეთოდების გამოყენებით, ასევე უნივერსალური ასტრონომიული ხელსაწყოებით _ თეოდოლიტით, ეკვატორიალით და ა.შ. სასურველ სიზუსტეებს ვერ მოგვცემს.

მზე დედამიწის გარშემო 1 დღ-ში 1 წრეს რომ შემოწერს, იმავდროულად იგი ეკლიპტიკაზეც გადაადგილდება, ორივე შემთხვევაში ერთდროულად ასრულებს ჩვენთვის მოჩვენებით წრიულ მოძრაობებს.

როგორც წრეწირი, წრეც გრადუსებად იყოფა.

წრეწირი არის 360° , ხოლო მის მიმართ სხეულის მიერ შემოწერილი სპირალური წრე განზომილებით ამაზე მეტია.

ცნობილია: წრეწირის სიგრძეს გავიგებთ, თუ მისი დიამეტრის სიდიდის გამომსახველ რიცხვს გავამრავლებთ პი-ს მუდმივაზე $\approx 3,14$ -ზე.

ნებისმიერი სხეულის $_$ მიკროსი თუ მაკროსი $_$ დროსა და სივრცეში ერთი სრული მოქცევის აბსოლუტური სიზუსტით გამომსახველი რიცხვის ციფრთა ჟამი არის 9.

რიცხვი 9 ამიტომ არის სამყაროს კონსტანტა.

ლოგიკა: მუდმივთა ნამრავლი უდრის მუდმივას.

თუ პი-ს მუდმივას გავამრავლებთ სამყაროს კონსტანტაზე, როგორც წრეწირის დიამეტრის განზომილებაზე, მივიღებთ წრეწირის სიგრძის მუდმივას:

$$3,14 \times 9 = 28,26$$

ცხადია, 28,26 განზომილება, როგორც ზოგადი მუდმივა, მოიცავს 360° -ს.

მაგრამ 360° -დან 28,26 განზომილების მერამდენედს მოიცავს 1° ?

$$28,26 : 360 = 0,0785 \text{ მეათიათასედს.}$$

28,26 $_$ წრეწირის მუდმივა ოთხი რიცხვითი ერთეულის ნამრავლია: 3, 1, 4, 9, ანუ წილადებში: მეათედის, მეასედის, მეათასედის და მეათიათასედის.

ამიტომ პი-ს მუდმივა უნდა გავამრავლოთ სამყაროს კონსტანტას მეათიათასედზე:

$$3,14 \times 0,0009 = 0,002826$$

განზომილება $_$ 0,002826 $_$ არის წრეწირის 1° -ის სიგრძის მუდმივა.

$0,002826 \times 360^\circ = 1,01736^\circ$ $_$ მზის გარშემო ორბიტაზე დედამიწის 1 დღ.-ის სავალია, ხოლო დედამიწის გარშემო ჰორიზონტალზე $_$ განედურ წრეზე, ხაზს ვუსვამ $_$ განედურ წრეზე მზის 1 დღ.-ის ძრაობით ქმნილი სპირალური მუდმივაა.

რადგან წრეწირში მოექცევა დიდი სივრცეც და მცირეც, ამიტომ 1° -ის 0,002826 განზომილება შეიძლება იყოს უხილავიც და მილიარდობით კმ. სიგრძისაც.

რადგან წრეწირის სიგრძის მუდმივა პი-ს მუდმივასა და სამყაროს კონსტანტას ნამრავლის შედეგია, მისი ნებისმიერი განზომილება ამავე მუდმივებზე იყოფა აბსოლუტური სიზუსტით.

ამ ლოგიკით:

$$360^{\circ}:9=40^{\circ}$$

$$28,26 \times 40^{\circ}=1130,4^{\circ}$$

$$1130,4^{\circ}:3,14=360^{\circ}$$

დედამიწა რომ თავისი ღერძის ირგვლივ და მზის გარშემო წრეწირებზე მოძრაობდეს, მაშინ ეკლიპტიკაზე 1 დღ-ში მას უნდა გაევიდოდეს:

$$365,23224:360^{\circ}=1,014534 \text{ გრადუს-დღ.}$$

ხოლო: $1,0145334:360^{\circ}=0,00281815$ გრადუს-დღ-ს, რაც წრეწირის 1° -ის სიგრძის მუდმივა არ არის.

მაგრამ:

$$365,23224 \text{ დღ.}:359^{\circ}=1,01736 \text{ გრადუს-დღ-ს.}$$

ხოლო: $1,01736:360=0,002826$ გრადუს-დღ. _ წრეწირის 1° -ის სიგრძის მუდმივას.

ამრიგად, **1,01736 გრადუს-დღელამე** არის დედამიწის ღერძის ირგვლივ 1 სრული შემობრუნების სპირალური მუდმივა. აქედან 1° წრეწირისეულია: $360^{\circ}-359^{\circ}=1^{\circ}$, ხოლო **0,01736** _ მოქცევისას მრუდზე მომატებული მანძილი და დრო:

$$0,01736 \times 359 = 6,23224;$$

$$359 + 6,23224 = 365,23224 \text{ გრ.-დღ.-ს.}$$

ე.ი. განედურ ხვიაზე _ პარალელზე შემობრუნებისას დედამიწა 1° -ზე ადგენს **0,002826** გრადუს-დღელამის მომცველ სპირალურ მუდმივას, სრული პროცესისას _ **1,01736** გრადუს-დღელამის მომცველ სპირალურ მუდმივას.

$$\text{მაშასადამე, } 359^{\circ} \times 1,01736^{\circ}=365,23224 \text{ დღ.}$$

წრეწირის სრულად გავლის ალბათობაში მივიღებდით დედამიწის დღელამეთა პოტენციურ _ ძალმოსილ, განგებით დადგენილ რაოდენობას წელიწადში:

$$360^{\circ} \times 1,01736=366,2496$$

სხვაობა:

$$366,2496-365,23224=1,01736$$

სხეულები გრავიტაციულობით ანელებენ ერთმანეთის მიმართ პროცესებს და რამდენადაც დიდია გარედან ზემოქმედება, იმდენად იზრდება სამოქმედო ობიექტის სპირალური მუდმივას განზომილება.

აქედან: $1,01736$ გრადუს-დღ. – დედამიწის ღერძის ირგვლივ ბრუნვის სპირალური მუდმივა – ქმნილია მთვარის მიერ დედამიწის სვლაზე და – მამუხრუჭებელი ზემოქმედების შედეგად და ამიტომ წელიწადში რჩება: $366,2496-1,01736=365,23224$ დღ.

მაშ, გავარკვიეთ დედამიწის ღერძის ირგვლივ ბრუნვით მიღებულ სპირალურ მუდმივათა გარდუსული და წრიული განზომილებები.

მზე, დედამიწის ღერძის ირგვლივ ბრუნვით გამოწვეული, სფერული ვერტიკალების – მერიდიანების 94° მანძილის ჰორიზონტალური – განედური წრეებით გადაკვეთისას ქმნის სპირალებს ისე, რომ მათი ხვიისებრი გადანაცვლება უწყვეტად სრულდება ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით.

(იხ. სქემა # 3 თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე სპირალის ჩვენებით).


თუ დედამიწის ირგვლივ მზის ერთი შემოვლით ქმნილი ღერძული სპირალური მუდმივა $1,01736$ გრადუს-დღეღამეა, პოტენციურად, 360° ვერტიკალის ყოველ გრადუსზე მისი აღვლენაც ამ განზომილების ტოლია.

ე.ი. წლიურად მზე დედამიწის მერიდიანული ვერტიკალის 360° -ს რომ ფარავდეს, მაშინ 1 შემოვლისას იგი, დედამიწის განედზე – ჰორიზონტალზე სვლის მსგავსად, შექმნიდა $1,01736$ გრ.-დღ. განზომილების სპირალურ მუდმივას.

მაგრამ $365,23224$ დღ. განმავლობაში მზის აღვლენითი გადანაცვლება ვერტიკალზე სრულდება არა 360° -ზე, არამედ 94° -ზე.

ამით მისი სპირალური მოძრაობის დრო და სივრცე მცირდება 4-ჯერ:

$$1,01736^\circ:4=0,25434^\circ.$$



სქემა #3.

ამიტომ: $0,25434^\circ$ არის დედამიწის გარშემო მზის 1 შემოვლით დედამიწის მერიდიანულ ვერტიკალზე ქმნილი სპირალური მუდმივა – წრებს შორის მანძილი.

მართლაც:

$$359^\circ \times 0,25434 \text{ გრადუს-დღ.} = 91,30806 \text{ დღ.}$$

$$91,30806 \text{ დღ.} \times 4 = 365,23224 \text{ დღ.}$$

$$360^\circ \times 0,25434 \text{ გრადუს-დღ.} = 91,5624 \text{ დღ.}$$

$$91,5624 \text{ დღ.} \times 4 = 366,2496 \text{ დღ.}$$

$$91,5624 - 91,30806 = 0,25434$$

$$91,30806 \text{ გრადუს-დღ.} - 90^\circ = 1,30806 \text{ გრ-დღ.}$$

$$90^\circ \times 4 = 360^\circ$$

$$1,30806 \text{ გრ.-დღ.} \times 4 = 5,23224 \text{ გრ.-დღ.}$$

$$360^\circ + 5,23224 = 365,23224 \text{ დღ.}$$

$$90^\circ : 360^\circ = 0,25^\circ$$

$$94^\circ \times 0,25 = 23,5^\circ$$

$$94^\circ : 4 = 23,5^\circ$$

ღერბული სპირალური მუდმივას $0,25434$ განზომილებიდან $0,25^\circ$ არის მზის ერთი მოქცევით სფერულ ვერტიკალზე დასაფარი მანძილი, $0,00434$ – წრეზე დამატებით გასავლელი მანძილი.

ამიტომ:

$$0,25^{\circ} \times 4 = 1^{\circ}$$

$$0,00434 \times 4 = 1,01736$$

$$1 + 0,01736 = 1,01736$$

$$90 \times 1,01736 = 91,5624$$

$$91,5624 \times 4 = 366,2496 \text{ დღ.}$$

ამრიგად, დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნავს სპირალში, და მისი ღერძული სპირალური მუდმივა მერიდიანულ ვერტიკალზე არის $0,25434^{\circ}$.

* * *

რახან ერთი სხეული მეორის მიმართ გარემოქცევის დროსაც ხვიიდან ხვიაზე უწყვეტად გადადის, მაშინ მანაც მოძრაობა უნდა შეასრულოს წრეწირის (ელიფსის) მიმართ და არა მასზე.

წრეწირი (ელიფსი), რახან მოძრაობა მასზე არ სრულდება და, მის მიერვე შემოფარგლული სივრცის მომცველი, დგას, არის დგარი, ხოლო წრის ნაწილი, რომელზედაც სხეული მოძრაობს დგარის $- 360^{\circ}$ -ის მიმართ და სრული პროცესით სპირალურთან ერთად აღრიცხავს მისი სამოძრაო დროისა და მანძილის პარამეტრებს, არის გარდი¹. ე.ი. წრეწირის მიმართ ძრაობა სრულდება გარდზე.

მაშასადამე, გარდი იმ სპირალური წრის $-$ ხვიის ნაწილია, რომელზეც სხეული მოძრაობს. ამიტომ სხეულის გარდისეული ორბიტა, ისევე როგორც სპირალი, არ ემთხვევა წრეწირს $-$ დგარს.

ვიცით: დედამიწა ღერძული ბრუნვის იმავდროულად გარემოქცევა მზეს $-$ მზის მიზიდულობის ძალა აიძულებს მას, ასე მოიქცეს.

პლანეტათა ღერძულ ბრუნვას და მათ ღერძულ სპირალურ მუდმივათა სიდიდეებს, გარდა მათი თანამგზავრების გრავიტაციულობისა, განსაზღვრავს მზისმიერი მიზიდულობის შედეგად ქმნილი, ამიტომ მათზე ბევრად აღმეტებული, ორბიტული სვლის განზომილებები.

ე.ი. პლანეტათა ორბიტული სპირალური სიდიდეები მათივე ღერძულისაზე მეტი რომ არ იყოს, ისინი სფერულ ტრიალს ვერ შეძლებენ $-$ ინერციულობას ვერ დაძლევენ:

პლანეტათა საკუთარი ღერძის ირგვლივ ბრუნვა მათ ინერციულობაზე მზის მიზიდულობის მოქმედების შედეგია.

ვიცით ისიც, რომ დედამიწა წელიწადში თავისი ღერძის ირგვლივ შემობრუნდება 365,23224-ჯერ, ხოლო მზეს ერთხელ შემოვლის გარშემო.

სპირალური მოძრაობის დოგმით, დედამიწა მზის გარშემო მოქცევას, როგორც თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნავს, ასრულებს წრეზე, და ასრულებს არა წყვეტილად, არამედ უწყვეტად ე.ი. ამ დროსაც ქმნის ხვეიბს _ სპირალებს.

რამდენია მზის გარშემო დედამიწის მოძრაობით ქმნილ წრეებს შორის მანძილი ანუ სპირალური მუდმივა?

ზემოთ დავადგინეთ: დედამიწის ღერძული ბრუნვისას 360° -იანი ვერტიკალისათვის ერთი შემოვლით ქმნილი სპირალური მუდმივა უნდა იყოს $1,01736^{\circ}$. რახან დედამიწის წლიური მოქცევისათვის განკუთვნილი სფერული ვერტიკალი, კოსმიური მექანიკის კანონით, მცირდება 4-ჯერ, ერთი შემობრუნებისათვის მის სპირალურ მუდმივად რჩება $1,01736 : 4 = 0,25434^{\circ}$.

მაგრამ არ მცირდება შემოსავლელი განედი _ ჰორიზონტალი, ყოველი შემობრუნებისას იგი მას სრულად ფარავს. ამიტომ დედამიწის ერთი შემობრუნების განედური სპირალური მუდმივა არის $1,01736^{\circ}$, რაც 1° -ზე გადანაწილებით არის $0,002826^{\circ}$.

სფერულმა სხეულმა თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნვა რომ განავითაროს, მისი ორბიტული მოქცევის სპირალური მუდმივა ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს ღერძულისას.

დედამიწა მზიდან მე-3 პლანეტაა. მასითა და მოცულობით, მზიდან დაშორებით, მზისეული გრავიტაციულობით მისი ორბიტული სპირალური მუდმივა ღერძულისაზე სწორედ ორჯერ მეტია.

$$\text{მაშინ: } 1,01736 \times 2 = 2,03472^{\circ}.$$

ორბიტის 1° -ზე გადანაწილებით:

$$0,002826 \times 2 = 0,005652^{\circ}$$

ამრიგად, დედამიწის ორბიტული სპირალური მუდმივა არის $2,03472^\circ$ და იგი 8-ჯერ აღემატება მისსავე ვერტიკალის ღერძულ სპირალურ მუდმივას:

$$0,25434 \times 8 = 2,03472^\circ.$$

ცის მექანიკის კანონით, ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების ურთიერთქმედებისას თანამგზავრი სხეული ისე ასრულებს ღერძულ ბრუნვას, რომ მისივე სფეროს პოლუსების შემაერთებელ წრეწირზე – ვერტიკალზე 4-ჯერ ნაკლები ადვლენით შემოწერს სპირალს, ხოლო რომლის გარშემოც მიმოქცევა, მის ვერტიკალზე – 8-ჯერ ნაკლებით.

აქედან გამომდინარე: ორბიტული პროცესისას დედამიწა მზის სფეროს წრეწირის ვერტიკალზე მზის ერთ კოსმოსური ციკლის პერიოდში ფარავს თავისი ერთი ღერძული ციკლის პერიოდში დაფარული მანძილის ნახევარს: $94^\circ:2=47^\circ$ -ს.

მზის ეკვატორის მიმართაც დედამიწის პროცესები სრულდება ოთხი რიტმით: ეკვატორიდან სამხრეთით და უკან, ეკვატორიდან ჩრდილოეთით და უკან.

$$\text{მაშინ: } 47:4=11,75^\circ$$

ე.ი. მზის ეკვატორიდან მისი სამხრეთის $11,75^\circ$ -მდე ორბიტული პროცესით რომ მიაღწევს, დედამიწა წრეების – სპირალების უწყვეტი შემოწერით გამობრუნდება უკან და ეკვატორამდე – 0° -მდე ამგვარად გამოივლის იმავე $11,75^\circ$ -ს.

$$\text{სულ: } 11,75^\circ + 11,75^\circ = 23,5^\circ$$


ანალოგიური პროცესი განმეორდება მზის ეკვატორიდან ჩრდილოეთით და უკან:

$$11,75^\circ + 11,75^\circ = 23,5^\circ$$

$$\text{სულ: } 23,5^\circ + 23,5^\circ = 47^\circ$$

ამრიგად, მზის სფეროს წრეწირის ვერტიკალზე ერთ ციკლურ პერიოდში წლიური ორბიტული წრეების შემოწერით დედამიწა ფარავს 47° .

(იხ. სქემა # 4)



სქემა #4

და რამდენ წელიწადშიც

დავადგინეთ: დედამიწის ორბიტული სპირალური მუდმივა რვაჯერ აღმატება მისსავე ღერძულისას:

$$0,25434 \times 2 = 0,50868 \times 4 = 2,03472$$

$$\text{ანუ: } 0,25434 \times 8 = 2,03472$$

მაშინ: ერთი ორბიტული გარემოქცევისას დედამიწა მზის სფეროს ვერტიკალის მიმართ 2° -ით გადაინაცვლებს:

$$0,25^\circ \times 8 = 2^\circ$$

$$\text{ანუ: } 47^\circ : 23,5^\circ = 2^\circ$$

$$\text{ხოლო } 47^\circ\text{-ის მეოთხედია: } 47^\circ : 4 = 11,75^\circ.$$

ჩვენ ისიც დავადგინეთ, რომ დედამიწის ღერძული ბრუნვისას 360° -ის ვერტიკალზე გაანგარიშებით ჰორიზონტალური – განედური წრის სპირალური მუდმივა არის 1,0736 გრადუს-დღე, ე.ი. წრიდან წრეზე გადასვლისას იგი გამოტოვებს წრეწირის 1° -ს და რჩება 359° .

ასევე დავადგინეთ: ერთი ღერძული შემობრუნებისას დედამიწის ვერტიკალზე აღვლენა სრულდება $0,25^\circ$ -ით, სრული ციკლის შესრულებისას – 94° -ით, რაც შეიცავს 376 ერთი მთელის მეოთხედს:

$$94^\circ : 0,25^\circ = 376$$

წრეწირზე გათვლით:

$$90^\circ : 0,25^\circ = 360$$

$$\text{ანუ } 376:4=94$$

$$360:4=90$$

აკი, ორბიტული მოქცევისას დედამიწა მზის სფეროს ვერტიკალზე ერთ ციკლურ პერიოდში რაოდენობრივად მისივე ღერძული ბრუნვის სრული ციკლით შემოწერილ გრადუსთა ნახევარს ფარავს:

$$94:2=47$$

$$90:2=45$$

მიღებული განაყოფები, შესაბამისად, 376-სა და 360-ზე 8-ჯერ ნაკლებია:

$$376:47=8$$

$$360:45=8$$

$$8:2=4$$

მზის სფეროს ვერტიკალზე დედამიწის მიერ შესრულებული 1 ციკლურ პერიოდში დაფარული მანძილი წრეწირის ვერტიკალის განზომილების მერვედია, ანუ მისი ყოველი სრული ციკლით აღვლენილი 1° ფარდია წრეწირისეული ვერტიკალის 8° -ისა.

ამ კანონიკიდან გამომდინარე, მზის სფეროს მერიდიანული დგარის მიმართ აღვლენისას დედამიწა 360° -დან გამოტოვებს 8° -ს და ციკლური გარდებისათვის დარჩება: $360^\circ - 8^\circ = 352^\circ$.

$$\text{ხოლო } 352^\circ:8=44^\circ.$$

აკი: მზის გარშემო განედზე გარემოქცევისას დედამიწის სპირალური მუდმივა ადგენს 2,03472 გრადუს-დღ-ს. ამასთან ერთდროულად მზის სფეროს ვერტიკალზე იგი ფარავს 2° -ს.

მაშინ: მზის სფეროს ვერტიკალის 44° -ს დედამიწა ფარავს: $44:2=22$ გარემოქცევით, ხოლო 1 ასეთი გარემოქცევა 1 წელიწადია, ანუ – 22 წელიწადში.

ე.ი. მზის გარშემო დედამიწის მოქცევის 1 ციკლური პერიოდია 22 წელიწადი.

რახან დედამიწის ორბიტული გარემოქცევისას მზის ეკვატორის მიმართ გადანაცვლებაც ოთხი რიტმით სრულდება, მაშინ ერთი რიტმის ხანგრძლივობაა:

$$22 : 4 = 5,5 \text{ წელიწადი.}$$

მაშასადამე, 5,5 წელიწადში დედამიწა მზის ეკვატორის ერთ მხარეს გადაინაცვლებს $11,75^{\circ}$ -მდე, და ამდენივე წელიწადში უკან – ეკვატორისაკენ მობრუნდება.

ზუსტად იგივე განმეორდება მზის ეკვატორის მეორე მხარესთან მიმართებაში.

ამრიგად, დედამიწა ყოველ მე-11 წელს – $5,5+5,5=11$ – მზის ეკვატორისადმი ზენიტზე აღმოჩნდება და, ცხადია, იგი მისგან მეტ სხივურ ენერგიას მიიღებს.

მაშ, მზის 11 წლიანი ციკლის მიზეზის საიდუმლოებაა: ორბიტული პროცესის განრიგით ყოველ მე-11 წელს დედამიწა მზის ეკვატორის ნათების ზენიტურ არეალში მოექცევა და ამის გამო იზრდება მის მიმართ მზისმიერი სხივური ენერგიის ინტენსივობა.

თავისი სფერული წრეწირის ვერტიკალის $11,75^{\circ}$ -ის მიღმა მზე დედამიწას არ უშვებს, რადგან 2° -ით მასზე აღვლენის მანძილი 24242 კმ-ზე მეტია, ხოლო 11° -ით – 133 ათას კმ-ზე მეტი. მართო ეს რამდენად აღემატება დედამიწის სფეროს გარეშემოწერილობას.

აი, რა სივრცეებს ფარავს დედამიწა მზის გარშემო პროცესებისას.

ცხადია, მზის სფეროს ვერტიკალზე უფრო შორს აღვლენისას დედამიწა დაკარგავდა მისთვის დაკანონებულ კოსმოსურ ორიენტაციას.

მზის სფეროს ვერტიკალზე $11,75^{\circ}$ -ით დედამიწის აღვლენა განსაზღვრავს მისივე ეკვატორისადმი მზის დახრილობის კუთხის მაქსიმუმს – $11,75^{\circ} \times 2 = 23,5^{\circ}$ -ს.

ყოველივე ზემოთ თქმულს კიდევ ერთხელ ვადასტურებთ შემდეგი გაანგარიშებებით:

$$365,23224:8=45,65403$$

$$45,65403-45=0,65403$$

$$0,65403 \times 2 = 1,30806$$

$$1,30806 \times 4 = 5,23224$$

$$45,65403 - 44 = 1,65403$$

$$44 \times 8 = 352$$

$$1,65403 \times 8 = 13,23224$$

$$352 + 13,23224 = 365,23224$$

$$44:2=22$$

$$22:4=5,5$$

$$94:0,25=376$$

$$376:4=94$$

$$94\times 0,25=23,5$$

$$94:0,50=188$$

$$188:4=47$$

$$47\times 0,25=11,75$$

$$376:8=47$$

$$47:2=23,5$$

$$376:2=188$$

$$188:8=23,5$$

$$5,875-5,5=0,375$$

$$5,5\times 8=44$$

$$0,375\times 8=3$$

$$44^{\circ}+3^{\circ}=47^{\circ}$$

საგულისხმოა შემდეგი კოსმოსური მოვლენაც:

$$352 : 2 = 176$$

176 წელიწადში ერთხელ დგება მზის სისტემის პლანეტათა პარადი.

$$\text{ხოლო: } 11\times 16=176$$

ქართველურ ასომთავრულში Q-ონი მზის სისტემის _ ბეთლემი-ონის აღმნიშვნელია და მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 16. მზის ინტენსივობის ციკლურობა კი ყოველ მე-11 წელიწადს დგება.

ამრიგად, 22 წელიწადია აუცილებელი ერთ ციკლურ პერიოდში დედამიწის ორბიტული პროცესით მზის სფეროს ვერტიკალის 44°-ისა და დგარიდან გამოტოვებულ 3°-თან ერთად სპირალიდან სპირალზე გადასვლისას მომატებული მანძილის დასაფარავად.

სამყაროს სპირალური მოძრაობის ალბათობაზე პირველად ჩამაფიქრა ცამრგვალის წრეზე დედამიწის ღერძის მიმართულების თანდათანობითმა შემობრუნებამ, რასაც მეცნიერებაში პრეცესია – წინსწრება, დასწრება ეწოდება, და ერთჟერადი პრეცესიის ორმა ასტრონომიულმა მონაცემმა წლებში: 25920 და 25776.


პრეცესიის შედეგად იცვლება სამყაროს პოლუსის ადგილმდებარეობა და დედამიწის ღერძის მიმართულება ცის სფეროზე განლაგებული თანავარსკვლავედების მიმართ გადაინაცვლებს ისე, რომ შემოწერს დიდ წრეს. და ამ წრის შემოწერისას სამყაროს პოლუსი მუდამ ის ადგილია, რომლის მიმართ სწორი ხაზით არის მიმართული გეოღერძი. ასე: თუ დღეს სამყაროს პოლუსად კვლავ ითვლება პოლარული ვარსკვლავი, რომელიც პატარა დათვის თანავარსკვლავედში შედის, რადგან იგია გეოღერძის თანხვედნილ ხაზზე განთავსებული, დაახლოებით 13 ათასი წლის შემდეგ ასეთად ჩაითვლება ვეგა, ქნარის თანავარსკვლავედიდან – ამ ხნის განმავლობაში დედამიწის ღერძი პრეცესიით მისკენ გადაინაცვლებს. კიდევ თითქმის ამდენივე წელი და გეოღერძი და პოლარული ვარსკვლავი კვლავ ერთ ხაზზე აღმოჩნდებიან, ანუ განმეორდება ამჟამინდელი განლაგება თანავარსკვლავედებისა. (იხ. სქემა #5)

ყოველივე ეს კარგად არის გამოკვლეული მეცნიერების მიერ და ამიტომ დეტალურად არც მიმოვიხილავ უკვე შესწავლილ ასტრონომიულ მოვლენებს. მათი ნააზრევიდან ვარჩევ და მსჯელობისას ვეყრდნობი იმ მონაცემებს, რაც უფრო ახსნადს ხდის სამყაროს სპირალურ მოძრაობას.

მზე და მის გარშემო დედამიწა მთვარესთან ერთად აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობენ, მაგრამ პრეცესიის შედეგად, როგორც ეს ასტრონომებმა დაამტკიცეს, ცის ეკვატორს ეკლიპტიკა ყოველწლიურად გადაკვეთს წინარე გავლილი კვანძიდან უფრო დასავლეთით და ამიტომ მზე 21 მარტს გაზაფხულის დღედამტოლობის წერტილში უფრო ადრე შემოდის.


აი, სწორედ ამას ჰქვია წინსწრება, დასწრება, მიგებება ანუ პრეცესია. (იხ. სქემა #6)

სამყაროს პოლუსი
ამჟამად



ვება ● ქნარის თანავარსკვლავედი
სამყაროს პოლუსი
დაახლოებით
12 500 წლის შემდეგ

სქემა #5



სქემა #6

და რახან მზე დედამეტოლობის წერტილზე ყოველწლიურად წინარე გავლილი კვანძიდან დასავლეთით გაივლის, მაშინ იგი წრეწირს კი არ კრავს, არამედ შემოწერს წრეს.

ე.ი. პრეცესიაც სრულდება წრეზე და არა წრეწირზე, ანუ პრეცესიული წრის შემოწერაც სრულდება 360°-ის _ დგარის მიმართ. და ისიც სრულდება არა წყვეტილად, არამედ უწყვეტად, მაშასადამე, ხვიისებრად _ სპირალურად.

დასკვნა: დედამიწის ღერძის პრეცესია სამყაროს პოლუსის მიმართ სრულდება სპირალში, რომლის დროსაც დგება პრეცესიული სპირალური მუდმივა _ წრეწირიდან გამოტოვებული ნაწილი ეკლიპტიკის მომდევნო წრის მრუდზე გადასვლით მომატებულ მანძილთან ერთად.

პრეცესია მზის გარშემო დედამიწის ორბიტული მოქცევის თანადროულია და ამიტომ სრულდება ყოველწლიურად, და 25920 წელიწადში გეოღერძი ცამრგვალზე შემოწერს ერთ სრულ ვარსკვლავიერ წრეს.

რახან პრეცესიით კოსმოსური განზომილებების სპირალური მუდმივა იქმნება, ამიტომ გეოღერძის გარდი დგება ცამრგვალის დგარის მიმართ.

ცამრგვალზე დედამიწის გეოგრაფიული ღერძის მიერ პრეცესიით შემოწერილი დგარისეული განზომილება დროში სწორედ არის 25920 წელი, გარდისეული _ 25776 წელი.

რახან ვიცით ვარსკვლავიერ წრეზე გეოღერძის დგარისეული და გარდისეული პრეცესიის ხანგრძლივობები, შეგვიძლია, მისი 1°-თვისაც გავიანგარიშოთ ისინი:

$$25920:360^{\circ}=72 \text{ წელი}$$

$$25776:360^{\circ}=71,6 \text{ წელი}$$

შევადაროთ სხვაობები:

$$25920-25776=144 \text{ წელი.}$$

$$72-71,6=0,4 \text{ წელი.}$$

$$0,4 \times 360^{\circ}=144^{\circ}$$

$$144^{\circ}:72=2^{\circ}$$

სწორია: დგარის 1°-ზე პრეცესია სრულდება 72 წელიწადში, 2°-ზე _ 144 წელიწადში.

მაგრამ დედამიწის წლიური ხანგრძლივობა არის არა 360, არამედ 365, 23224 დღ.

თუ გაანგარიშებისას, ზემოთ მოტანილის _ 360°-ის _ მსგავსად ვიხელმძღვანელებთ რიცხვითი ცნებით _ 365, 23224 პრეცესიულ დგარსა და გარდს შორის ჭეშმარიტ სხვაობას ვერ დავადგენთ.

ამიტომ ჟერ მივმართოთ ასტრონომების მიერ მიღებულ პრეცესიის მუდმივას _ 50'' _ ორმოცდაათ სეკუნდას. ამ მანძილით გადაინაცვლებს გეოლერძი ყოველწლიურად წინარე გავლილი კვანძიდან დასავლეთით:

$$360^{\circ} \times 60' \times 60'' = 1296000'' : 25920 \text{ წ.} = 50''$$

ამავე ხერხით გამოითვლება გარდისეული პრეცესიაც:

$$360^{\circ} - 2^{\circ} = 358^{\circ}$$

$$358^{\circ} \times 3600'' = 1288800'' : 25776 \text{ წ.} = 50''$$

რადგან ასტრონომების მიერ მიღებული პრეცესიული მუდმივა _ 50'' _ წრეწირის გარდუსებს ეფუძნება, დედამიწის ღერძულ და ორბიტულ პროცესიათა მუდმივები ჩვენც ჟერ დავამრგვალოთ გარდუსებში, მერე გადავიყვანოთ სეკუნდებში, რომ ერთმანეთს შევადაროთ მათი სიდიდეები.

ღერძული პროცესია:

$$1^{\circ} \times 3600'' = 3600'' : 360^{\circ} = 10''$$

$$50'' : 10'' = 5''$$

ორბიტული პროცესია:

$$2^{\circ} \times 3600'' = 7200'' : 360^{\circ} = 20''$$

$$50'' : 20'' = 2,5''$$

ამრიგად, პრეცესიის მუდმივა 5-ჟერ აღემატება დედამიწის ღერძული პროცესიის მუდმივას და 2,5-ჟერ _ ორბიტულისას.

ხოლო დედამიწის ორბიტული პროცესიის მუდმივა მისსავე ღერძულისას აღემატება ორჟერ:

$$20'' : 10'' = 2$$

ახლა შეგვიძლია, დავადგინოთ აბსოლუტური სიზუსტის პრეცესიული მუდმივა, რისთვისაც 1° -ის ღერძული და ორბიტული სიგრძის მუდმივები გავამრავლოთ 1° -ის სეკუნდურ განზომილებაზე:

$$1,01736^{\circ} : 360^{\circ} = 0,002826^{\circ} \times 3600'' = 10,1736''$$

$$10,1736'' \times 5'' = 50,868''$$

$$2,03472^{\circ} : 360^{\circ} = 0,005652^{\circ} \times 3600'' = 20,3472''$$

$$20,3472'' \times 2,5'' = 50,868''$$

ამრიგად, აბსოლუტური სიზუსტის პრეცესიის სპირალური მუდმივა არის **50,868''**.

და კიდევ ამისი დასტური: ცამრგვალზე ერთი სრული პრეცესიით დგება $5,0868^{\circ}$ სპირალური მუდმივა:

$$360^{\circ} \times 50,868'' = 18312,48'' : 3600'' = 5,0868^{\circ}$$

$$366,2496 \text{ გრ.-დღ.} \times 50'' = 18312,48'' : 3600'' = 5,0868^{\circ}$$

$$\text{ასევე: } 1,01736^{\circ} \text{ _ წრისეული სპირალური მუდმივა} \times 5 = 5,0868^{\circ}$$

ე.ი. სრული პრეცესიული სპირალური მუდმივა ღერძული პროცესიის 360° -ისათვის გათვლილ სპირალურ მუდმივაზე 5-ჯერ მეტია.

1 წელიწადში გავლილი პრეცესიული განზომილების სიდიდეებს განსაზღვრავს სწორედ $50,868''$ და არა $50''$, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ წრეწირის გრადუსულ განზომილებებს მიესადაგება.

მართლაც:

$$365,23224 \text{ დღ} \times 60'' \times 60'' = 1314836,064'' : 50,868'' = 25848 \text{ წელი}$$

$$25920 - 25848 = 72 \text{ წელი.}$$

აღნიშნული რიცხვითი მოცემულობანი აითვლება დედამიწის ღერძის ირგვლივ ბრუნვის ჭეშმარიტი ხანგრძლივობიდან, რომლის დროსაც 360° -დან გამოიტოვება 1° და გარდის საფუძვლად რჩება 359° :

$$359^{\circ} \times 1,01736 \text{ _ ღერძული პროცესიის მუდმივაზე} = 365,23224 \text{ დღ.}$$

მზის გარშემო დედამიწის პროცესიის დროს, როგორც დავადგინეთ, 360° -დან გამოიტოვება 2° და გარდის საფუძვლად რჩება 358° :

$$358^{\circ} \times 1,01736 = 364,21488 \text{ დღ.}$$

$$364,21488 \text{ დღ.} \times 3600'' = 1311173,568'' : 50,868'' = 25776 \text{ წელი.}$$

$$25848 - 25776 = 72 \text{ წელი.}$$

25920 – 25776 = 144 წელი.

ისმის კითხვა: სად შემოინახება 25920 წლიდან 72 წელიწ

ამის დასადგენად ასეთ უკუგანგარიშებას მივმართოთ:
25920:50,868°=1318498,56":3600"=366,2496 დღ.

366,2496დღ. - 1,01736 = 365,23224 დღ.

მაშასადამე, თუ წელიწადის ჭეშმარიტი ხანგრძლივობით ვიანგარიშებთ სამყაროს პოლუსის მიმართ დედამიწის პროცესიის სრულ განზომილებას, დაგვეკარგება 1,01736 გრადუს-დღ, ანუ ყოველ გრადუსზე – 1,01736:360=0,002826გრ.დღ.

მიზეზი

დედამიწის ღერძულ ბრუნვას, დიახ, ამუხრუჭებს მთვარის მიზიდულობის ძალა, და, ცხადია, პირიქით.

დედამიწა-მთვარის ბრუნვათა ურთიერთდამამუხრუჭებელი ძალმოსილების გამომსახველ ერთეულებს გავეცნობით ამავე წიგნის მე-5 თავში.

მაგრამ დედამიწა-მთვარე, როგორც წყვილი, ერთად ასრულებენ ვარსკვლავიერ პრეცესიას და პრეცესიული გადაადგილებანი კოსმოსხეულებისა სამყაროს კანონზომიერებით მიმდინარეობს – იგი ითხოვს ციკლის სრულ შესრულებას დგარის მიმართ და სრულდება კიდევაც.

$360^{\circ} \times 1,01736 = 366,2496$ დღ.

$366,2496 \times 3600'' = 1318498,56'' : 50,868'' = 25920$ წელი.

მაშასადამე, მზის გარშემო დედამიწის ორბიტული პროცესიის პოტენციური ხანგრძლივობა არის 366,2496 დღ.

აი, მიზეზი ვარსკვლავთმიერ და მზისმიერ დღ. შორის განსხვავებისა!

მზე და ვარსკვლავები გალაქტიკის ირგვლივ მათთვის განკუთვნილი სივრცობრივი დაშორებით ვლენან.

მაგრამ დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო. და რადგან მთვარის მიზიდულობა ამუხრუჭებს მის მოძრაობას, ამიტომ მზე ამოდის უფრო გვიან და არა რომელიმე ვარსკვლავი. დედამიწა რომ მოძრაობდეს რომელიმე ვარსკვლავის გარშემო, ამავე მიზეზით იგიც ასევე გვიან

ამოვიდოდა. შედეგად: მზის ამოსვლა დღელამეში 3 წუთითა და 56 წამით იგვიანებს, რაც 1 წელიწადში 1 დღ. ადგენს.

ამრიგად, ვარსკვლავთმცემი დრო რომ მზისმცემზე მოკლეა, ეს არ არის განპირობებული არც ვარსკვლავთა სიშორით და არც მათ მიმართ მზის მოძრაობების ცვალებადობით.

ამიტომ რჩება: $366,2496 \text{ დღ.} - 1,01796 = 365,23224 \text{ დღ.}$

მაშასადამე, დედამიწის ღერძის 1 დგარისეული სპირალური პრეცესია სამყაროს პოლუსის მიმართ სრულდება 25920 წლის განმავლობაში, ხოლო გარდისეული – 25776 წლის განმავლობაში.

* * *

ჩვენ დავადგინეთ, რომ დედამიწის ღერძი, ცამრგვალზე პრეცესიის კანონით გადაადგილებისას, ყოველ წელიწადში ცის ეკვატორზე წინარე გავლილი კვანძიდან $50,868''$ -თი დასავლეთით გადაინაცვლებს, რაც 1° -ზე მის ღერძულ პროცესიას 5-ჯერ, ხოლო ორბიტულისას 2,5-ჯერ აღემატება.

მაშინ ლოგიკურია: ცის პოლუსების შემაერთებელი წრეწირის ვერტიკალზე – მერიდიანზე დედამიწა ერთი პრეცესიული მოქცევით 5° -ს დაფარავს.

ე.ი. დედამიწის პრეცესიებს შორის მანძილი – სპირალური მუდმივა არის $5,0868^\circ$.

ღერძული პრეცესიების სპირალური მუდმივა ათვლის ბაზისია სპირალური მუდმივებისათვის, რადგან 1 მთელის მეოთხედია – 1° -ზე სპირალური ძრაობებით ავლილი მანძილის მეოთხედია, ანუ 1 მთელის 4 რიტმის მეოთხედია:

$$1^\circ : 4 = 0,25^\circ$$

აქედან: 5° დაიფარება: $5^\circ \times 4 = 20$ ღერძული სპირალური მუდმივით.

$$20 \times 0,25^\circ = 5^\circ$$

$$20 \times 0,25434^\circ = 5,0868^\circ$$

ამრიგად, ყოველი პროცესიისას ცის ეკვატორიდან მის ორივე მხარეს დედამიწა სრული ციკლის შესრულებამდე ხუთ-ხუთი გრადუსით გადაინაცვლებს.

მილიარდობით ვარსკვლავი ორი საერთო პოლუსით – ჩრდილოეთი და სამხრეთი – და მათი გამაერთიანებელი ღერძით ქმნის ერთ ავტონომიურ ციურ სფერულ შრეს – ყაროს.

რადგან სამყაროს ცენტრისადმი პრეცესიულ ათვლას ჩვენ დედამიწიდან ვიწყებთ, ბუნებრივია, მის თვალსაწიერში არსებული ავტონომიური ციური სფერული შრე ჩვენგან რიგით პირველი ყაროა.

დედამიწის თვალსაწიერში არსებული ავტონომიური ციური სფერული შრის მიღმა, ოღონდ გარშემო, მსგავსი პირველადი ავტონომიური ციური სფერული შრეების ერთიანი, სისტემური კავშირი ქმნის მომდევნო – გარე ავტონომიურ ციურ სფერულ შრეს – მეორე ყაროს – ზეგალაქტიკას, ასევე ორი პოლუსითა და მათი გამაერთიანებელი ღერძით.

ზეგალაქტიკათა სისტემური კავშირი ქმნის მესამე ავტონომიურ ციურ სფერულ შრეს მესამე ყაროს – მეტაგალაქტიკას, და ა.შ.

წინარე – შიდა ყაროს ღერძის პრეცესია სრულდება მომდევნო – გარე ყაროს პოლუსთა მიმართ.

და ყოველი მომდევნო პრეცესია შესაბამისი ყაროს სფერულ ვერტიკალზე, არითმეტიკული პროგრესიით, 5°-ით მატულობს.

იმავდროულად შიდა ყარო გარეს მიმართ ორბიტულ პროცესიასაც ასრულებს და თავისი ღერძის ირგვლივაც ბრუნავს.

მაშასადამე, როგორც მეორე პროცესია – ორბიტული მართავს პირველს – ღერძულს აღმეტებული სპირალური მუდმივითი, იგივეა პრეცესიათა მექანიკაც.

ამიტომ არის: ყოველი გარე ყარო კოსმოგანზომილებებით შიდას აღემატება, ხოლო მისი პრეცესიული მოქცევების რაოდენობა შესაბამისი უკუპროპორციულობით კლებულობს.

მაგალითად, დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ ერთ შემობრუნებას 1დღ.-ს – 24 საათის უნდება, მზის გარშემო ერთ გარემოქცევას – 365,23224


დღ., ხოლო ცამრგვალზე ერთი პრეცესიული წრის შემოწერას – 25920 წელიწადს.

წარმოიდგინეთ: ციურ ყაროთა სფერულ ვერტიკალზე 5°-ით პრეცესიული გადაადგილება და, მით ურო, მისი არითმეტიკული პროგრესიით ზრდა, ისეთ სივრცულ მანძილებს შემოფარგლავს, მილიონობით სინათლის წლით რომ იზომება.

მიზეზი: დგარის გადიდების შესაბამისად იზრდება მის გრადუსულ დანაყოფებს შორის მანძილი, შესაბამისად – მათი შემოვლის დროც.

რამდენადაც მცირდება დგარი, იმდენად სწრაფად იფარება მის მიმართ ძრაობით გასავლელი მანძილი და, პირიქით, რამდენადაც იზრდება დგარი, იმდენად ხანგრძლივად იფარება მის მიმართ ძრაობით გასავლელი სივრცე.

(იხ. სქემა #7)



სქემა #7

ჩვენი გონსაწიერი სამყარო მატერიული და სულიერი ყაროების სივრცეთა სფერული ერთიანობაა, რადგან პრეცესიების სრული წრეწირისეული ციკლი მასში ერთმანეთის მიმართ სრულდება.

დერძული პროცესიისას 1°-ზე 4 მოქცევით 4 დერძული სპირალური მუდმივა – 0,25434° – დგება, ორბიტულისას 2°-ზე 1 მოქცევით – 8 დერძული სპირალური მუდმივა: $0,25434^{\circ} \times 8 = 2,04372^{\circ}$, 5°-ზე პრეცესიისას 1 მოქცევით

მივიღებთ: $0,25434 \times 4 = 1,01736 \times 5 = 5,0868^\circ : 0,25434 = 20$ ღერძულ სპირალურ მუდმივას.

ამიტომ: ყაროთა სფერულ ვერტიკალებზე – მერიდიანებზე პრეცესიულ მოქცევათა რაოდენობა იგივე მეთოდით იანგარიშება, როგორითაც მზის გარშემო დედამიწის პროცესიები, რადგან ერთი სხეულის პრეცესიული სპირალური მუდმივასა და მეორის სფერული ვერტიკალის გრადუსთა ფარდობა $1/8$ -სთან დოგმატურია ორივეს სივრცული მოქმედებისა და მოცულობითი პარამეტრების კოსმოსური განსაზღვრულობით.

$$360^\circ - 8^\circ = 352^\circ : 8 = 44 : 2 = 22 \text{ მოქცევას.}$$

ამ კანონზომიერებით, ყაროთა პრეცესიული სპირალური მუდმივების განზომილებათა არითმეტიკული პროგრესიით ზრდა, შესაბამისი თანამიმდევრობით დგარისეულ სიდიდეთაგან გრადუსთა $1/40$ -თან ფარდობის გამოკლება და მიღებულ სხვაობათა – გარდთა ამავე ფარდობის ნახევარზე გაყოფით ციკლურ პერიოდში მოქცევათა რაოდენობის ორი ერთეულით შემცირება სამყაროული ავლენის კანონია.

რახან, პროცესიული მოძრაობებისას 1° ფარდია 8° -ის, ყაროს სფერულ ვერტიკალზე 5° -ით პრეცესიული ავლენა მისივე წრეწირისეული განზომილებიდან ფარდია: $5^\circ \times 8^\circ = 40^\circ$.

და: შევადგინოთ ყაროთა სფერული სპირალური ავლენისა და მათივე წრეწირების გრადუსთა ფარდობის და სპირალური მუდმივების მოქმედებათა ტაბულა

$5 \times 8 = 40^\circ$	$5,0868 \times 8 = 40,6944$
$10 \times 8 = 80^\circ$	$10,1736 \times 8 = 81,3888$
$15 \times 8 = 120^\circ$	$15,2604 \times 8 = 122,0832$
$20 \times 8 = 160^\circ$	$20,3472 \times 8 = 162,7776$
$25 \times 8 = 200^\circ$	$25,434 \times 8 = 50,868$
$30 \times 8 = 240^\circ$	$30,5208 \times 8 = 244,1664$
$35 \times 8 = 280^\circ$	$35,6076 \times 8 = 284,8608$
$40 \times 8 = 320^\circ$	$40,6944 \times 8 = 325,5552$
$45 \times 8 = 360^\circ$	$45,7812 \times 8 = 366,2496$

პრეცესიული სპირალური მუდმივა, გადიდებული 72-ზე _ 9-ისა და 8-ის ნამრავლზე, ადგენს დედამიწის პოტენციურ წლიურ ხანგრძლივობას: $5,0868 \times 72 = 366,2496$ დღ. აღნიშნული განზომილებით დღელამეში იქნებოდა არა 23 სთ. და 56 წთ., არამედ 24 სთ.:

$$366,2496 \text{ დღ} \times 86160 \text{ წმ.} = 31556065,53 \text{ წმ.}; 86400 \text{ წმ.} = 365,23224 \text{ დღ.}$$

ეს იგივეა, რაც:

$$365,23224 \times 86400 = 31556065,536; 86160 = 366,2496$$

ყოველ ციკლურ პერიოდში პრეცესიულ სპირალურ მუდმივათა არითმეტიკული პროგრესიით ზრდის გამო ყაროთა მოქცევის შესაბამისი რაოდენობრივი კლება აისახება $5^\circ \times 8 = 40^\circ$ -ით ასეთივე თანამიმდევრობით წრეწირისეულ გარდუსთა კლებადობაში. ე.ი. პირველი ყაროს პრეცესიულ მოქცევათა რაოდენობის დასადგენად 360° -ს აკლდება 40° , რჩება 320° განზომილების გარდი, მომდევნო ყაროსათვის _ ამ სხვაობით მიღებულ გარდს კიდევ 40° , რჩება 280° განზომილების გარდი და ა.შ.

მაგრამ 40° სფეროს ვერტიკალური წრეწირის _ ორი მერიდიანის წილია. ჭეშმარიტი სფერული ვერტიკალი კი არის ერთი მერიდიანული განზომილება _ 180° .

ამიტომ, პრეცესიის კანონით, დგარიდან 40° -ის გამოკლების შემდეგ დარჩენილი წრეწირისეული სხვაობა _ გარდი უნდა გაიყოს $40^\circ : 2 = 20^\circ$ -ზე და მივიღებთ პირველი ყაროს პრეცესიულ მოქცევათა ზუსტ რაოდენობას.

$$360^\circ - 40^\circ = 320^\circ : 20 = 16^\circ$$

$$16 : 2 = 8$$

პირველი ყაროს ეკვატორის ერთ მხარეს სრულდება 8 პრეცესიული მოქცევა: 4 ეკვატორიდან, 4 _ ეკვატორისაკენ, ასევე 8 პრეცესიული მოქცევა _ მეორე მხარეს.

რახან დედამიწის ყოველ პრეცესიულ მოქცევაზე ყაროს სფერული ვერტიკალის 5° იფარება, 4-გზის შემოვლისას დაიფარება: $5^\circ \times 4 = 20^\circ$.

მაშასადამე, ცის ეკვატორის ერთ მხარეს დედამიწა პრეცესიული მოქცევებით გაივლის მისი ვერტიკალის 20° -ს, მეორე მხარესაც _ 20° -ს, სულ 40° -ს.

$$\text{ე.ი. } 360^\circ - 40^\circ = 320^\circ : 20^\circ = 16^\circ : 2 = 8^\circ : 2 = 4^\circ$$

პრეცესიულ მოქცევათა რაოდენობა და მანძილი აითვლება ღერძული სპირალური მუდმივას წლიურ გრადუსთა რაოდენობის საფუძვლიდან:
 $94^{\circ}:0,25^{\circ}=376. 376-40=336:20=16,8:2=8,4:2=4,2$

სამყაროული ავლენის კანონით, განვსაზღვროთ დანარჩენ ყართა სფერულ ვერტიკალებზე ერთ ციკლურ პერიოდში სპირალური პრეცესიებით დაფარული გარდუსები და მოქცევათა რაოდენობა:

$$320-40=280:20=14:2=7:2=3,5$$

$$336-40=296:20=14,8:2=7,4:2=3,7$$

$$280-40=240:20=12:2=6:2=3$$

$$296-40=256:20=12,8:2=6,4:2=3,2$$

$$240-40=200:20=10:2=5:2=2,5$$

$$256-40=216:20=10,8:2=5,4:2=2,7$$

$$200-40=160:20=8:2=4:2=2$$

$$216-40=176:20=8,8:2=4,4:2=2,2$$

$$160-40=120:20=6:2=3:2=1,5$$

$$176-40=136:20=6,8:2=3,4:2=1,7$$

$$120-40=80:20=4:2=2:2=1$$

$$136-40=96:20=4,8:2=2,4:2=1,2$$

რიცხვითი ცნება _ 1,2 _ საგანგებოდ დავიმახსოვროთ მის განსაკუთრებულ დანიშნულებას ქვემოთ ავხსნით (იხ. მე-5 თავი).

ჩვენ მივიღეთ სამყაროს 7 ავტონომიური ციური სფერული შრე _ 7 ყარო. და რადგან 7-ვე სფერულ ყაროში სპირალური მოქცევები სრულად სრულდება, ისინი მატერიულობის შემოქმედნია.

$$80-40=40:2=2:2=1:2=0,5$$

$$96-40=56:20=2,8:2=1,4:2=0,7$$

მე-8 სფერულ ყაროში სპირალური პრეცესია 1 მთელად ვერ იკვრება, არამედ – სანახევროდ, და ამიტომაც აქედან იწყება სულიერებისაკენ მატერიულობის განფენა.

40-40=0 – უგარდო, შემოუზღლუდავი, განუყოფელი, საიდანაც ყველა მიმართულებით განიფინება ნეტარი, ამიტომ უხილავი, უძრავი, მარადიული ყოფიერება.

მე-9 ცაშია მრადიული სამყაროული ინფორმაცია – მეხსიერება, და სუფევს აბსოლუტური გონი+აბსოლუტური სული+სიტყვა=ღმერთი.

მე-9 სფერული ყარო გარემოცავს მთელს სამყაროს მის ამიერ და მის იმიერ. ამიტომ არის ღმერთი ყოვლის მომცველი, ყოვლის მპყრობელი, ყოველივეში განფენილი, დაუსაზამო დასაზამიერი.

მე-9 ციური სფერული შრის პოლუსებშია სამყაროს გონი აბსოლუტურ აღვლენში და ამიტომ გამოდის მისგან განგების კოდირებული შემოქმედება – აღსრულება სიტყვა. მისგან გამოდის უსასრულოობის პოლუსთა მაერთებელი ღერძი – აბსოლუტური სული, ყოველივეს მასულდგმულებელი. და მისგანვე იშობის ძე – სამყაროს ნაწილთა შესაქმის აღსრულება.

დიახ, ყოველი მიემართება მამისაკენ და მოემართება მამისაგან.

და კვლავ დასტური ამისა:

$$56-40=16:20=0,8:2=0,4:2=0,2$$

მე-9 ციური სფერული შრის პოლუსი უძრავია, ძრაობა მის მიმართ სრულდება 0,16 განზომილებიდან.

მარადი შემოქმედია აბსოლუტური გონი – უხილავის, უძრავის, განუყოფელის – ღმერთის საუფლოს მიმართ შეუსვენებლივ გრძელდება განგებისეული ძრაობა, ორი ჰიპოტასი – მამა და სულიწმიდა – $0,1+0,1=0,2$ + მესამე ჰიპოტასის – მის შემოქმედნი არიან: კვლავ შობა და სულდგმა.

დიახ, ღვთის საუფლომდე ჩვენგან სამყაროს 9 სფერული ყაროა, 9 ცა, თითოეული 360 გრადუსიანი განზომილების.

მე-9 სფერული ყაროს პოლუსებში და მათ მაერთებელ ღერძშია სამყაროს ეგო – მე, ცენტრი, ამიტომ მის მიმართ ავტონომიურნი არიან

დანარჩენი ციური სფერული ყაროები, რომელთაც იგი გარს აკრავს და თავისი ეგოთი თავისთან იკრებს ყოველივეს, მისკენ არის პრეცესია და მისგან არის პროცესია, და, თავისთავზე გაყოფილი, იგი უდრის 1-ს.

$360:360=1$ _ ღმერთი ერთია.

თუ რა უკიდევანო სივრცეებს მოიცავს 9-ვე ყარო, ამას მათი პრეცესიული სპირალური მუდმივები გამოსახავენ:

1. $0,25434^{\circ} \times 20 = 5,0868^{\circ}$
2. $0,25434^{\circ} \times 40 = 10,1736^{\circ}$
3. $0,25434^{\circ} \times 60 = 15,2604^{\circ}$
4. $0,25434^{\circ} \times 80 = 20,3472$
5. $0,25434^{\circ} \times 100 = 25,434$
6. $0,25434^{\circ} \times 120 = 30,5208$
7. $0,25434^{\circ} \times 140 = 35,6076$
8. $0,25434^{\circ} \times 160 = 40,6944$
9. $0,25434^{\circ} \times 180 = 45,7812$

